

Jean-Pierre Moynet, "Voyage à la la mer Caspienne et à la mer Noir. II, De Bakou à Tiflis 1859" (Inédit).
Texte et dessins de M. Moynet. Le Tour du monde, I, 1860

Nous arrivâmes donc au grand galop sur le sommet de la dernière colline qui nous cachait Tiflis, et tout à coup le spectacle changea. Nous jetâmes tous trois un cri d'admiration. Au fond de la vallée nous apercevions la Koura* et la ville, avec ses maisons bâties sur les deux versants de la montagne, perchées les unes au-dessus des autres, quelques-unes accrochées et comme cramponnées aux rochers, accessibles seulement par des chemins à pic presque impraticables ; maisons russes, persanes, arméniennes ; çà et là des églises, différant entre elles comme les cultes auxquels elles sont consacrées ; tout cela formant l'ensemble le plus pittoresque et le plus amusant qu'on puisse imaginer, mais désespérant pour ceux qui n'aiment que les rues longues de six kilomètres et les maisons alignées au cordeau. (318)

ჩვენ ჰქენებით მივაღწიეთ ბოლო ბორცვის მწვერვალს, რომელიც თბილისს გვიფარავდა და სანახაობაც ერთბაშად შეიცვალა. სამივემ ალტაცებით შევყვირეთ. ხეობის ძირში დავინახეთ მტკვარი და მთის ორ ფერდობზე შეფენილი ქალაქი ერთმანეთზე მიდგმული სახლებით, რომელთაგან ზოგი ისე მიკვროდა კლდეებს, თითქოს მათ ეჭიდებოდა და სადაც მხოლოდ ციცაბო, თითქმის გაუკვალავი ბილიკით თუ მოხვდებოდი; რუსული, სომხური და სპარსული სახლები, აქა-იქ ეკლესიები, რომლებიც ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, როგორც ის რიტუალები, რომლებსაც ისინი ეძღვნება; ყოველივე ეს ისეთ მეტად თვალწარმტაც და სახალისო ერთობას ქმნის, როგორც წარმოდგენაც კი შეიძლება, მაგრამ იმედს გაუცრუებს იმათ, ვისაც 6 კმ-ზე გადაჭიმული ქუჩები და ერთ რიგში ჩამწკრივებული სახლები მოსწონს.

Nous descendimes toujours en courant, et à chaque pas notre admiration augmentait. Les détails répondaient à l'ensemble. Nous étions éblouis de tous ces costumes aux mille couleurs. Nous traversâmes une grande place pleine de Persans, d'Arméniens, de Géorgiens, avec leur tournure de grands seigneurs; de Mingréliens élégamment coiffés de leur fronde dont ils ont fait une parure nationale. Voici maintenant des Géorgiennes enveloppées d'une grande étoffe blanche, qu'elles portent comme les Espagnoles leurs mantilles; des Tatars, des Lesghiens, des Kurdes, des Russes, et, au milieu de cette foule, des cavaliers suivis de leurs noukers, faisant briller au soleil, maîtres et serviteurs, leurs armes magnifiques; des chameaux chargés de marchandises, et jusqu'à des mendiants qui, drapés dans leurs loques aux couleurs éclatantes, pittoresques même dans leur misère, concourent à compléter cet incomparable spectacle (318).

ჩვენ კვლავ სწრაფად ვეშვებოდით და ჩვენი ალტაცებაც ყოველ ნაბიჯზე მატულობდა. დეტალები მთლიანობას შეესაბამებოდა. ათასფერმა სამოსმა თვალი მოგვჭრა. ჩვენ გადავკვეთეთ დიდი მოედანი, რომელიც სავსე იყო სპარსელებით, სომხებითა და ქართველებით, რომლებსაც დიდებული სენიორების შესახედაობა ჰქონდათ; მეგრულ კაცებს მოხდენილად ჰქონდათ მოგდებული თავიანთი მოსახვევი, რომელიც ეროვნულ სამკაულად აქციეს. აი ქართველი ქალები, რომლებსაც მოხვეული აქვთ დიდი თეთრი ქსოვილი და მას ისე ატარებენ, როგორც ესპანელი ქალები თავიანთ მანტილიებს; თათრები, ლეკები, ქურთები, რუსები და ამ ბრბოს შუაგულში ცხენოსნები თავიანთი ნუკერების თანხლებით¹ – ბატონებისა და მსახურების შესანიშნავი იარაღი მზეზე ბრწყინავდა; ამ შეუდარებელ სანახაობას

¹ ნუკერი (მონღ. Nöker – ამხანაგი) აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხში ხანის, მხედართმთავრის პირადი დაცვის მებრძოლი; აქ: მსახური.

საქონლით დატვირთული აქლემები და კაშკაშა ძონძეებში გახვეული, თავიანთ სიღარიბეშიც კი თვალწარმტაცი მათხოვრები ასრულებდნენ.

L'industrie des étoffes de soie persanes et turques s'étale aussi dans tout son luxe à Tiflis. Mais nos soieries sont préférées par les dames géorgiennes et russes. Toutefois quelques étoffes pour meubles, d'un dessin fort original, mériteraient d'être importées chez nous. (322)

სპარსული და თურქული აბრეშუმის ქსოვილები თბილისში მთელი თავისი ფუფუნებითაა წარმოდგენილი. მაგრამ ქართველ და რუს ქალბატონებს ფრანგული აბრეშუმი ურჩევნიათ. ამასობაში, ავეჯზე გადასაკრავი ქსოვილები, მეტად ორიგინალური დიზაინით, ჩვენთან იმპორტირებას იმსახურებენ.

Nous avons visité deux autres bazars où l'on voit les produits de la Perse, de la Mongolie, de la Chine, de la Turquie, de la Sibérie, de la Russie, entassés les uns près des autres. Dans ce concours des industries de tant de peuples, l'Europe ne figure que par quelques rares échantillons. Moscou seul cherche à y écouler ses imitations de mauvaise qualité. Les autres marchandises sont arrêtées par la douane qui les charge de droits excessifs. Cependant quelques-uns de nos compatriotes se sont aventurés jusqu'à Tiflis, et les marchandises françaises commencent à pénétrer dans le pays. C'est le luxe des femmes qui les attire. Les belles Géorgiennes n'ont pas renoncé à leur costume du moyen âge, mais leur robe et le large ruban qui forme une des parties essentielles de leur parure, viennent des ateliers de Lyon. Peu à peu, d'autres objets les ont tentées, et la colonie française tend à s'accroître. (322)

ჩვენ ორ სხვა ბაზარშიც შევედით, სადაც ერთმანეთის გვერდით გროვებდად ელაგა სპარსული, მონღოლური, ჩინური, თურქული, ციმბირული და რუსული საქონელი. ამდენი ხალხის ნაწარმს შორის ევროპული საქონელი რამდენიმე იშვიათი ნიმუშითაა წარმოდგენილი. იქ მხოლოდ მოსკოვი ცდილობს თავისი უხარისხო იმიტაციის გაყიდვას. სხვა საქონელი გაჩერებულია საბაჟოზე, სადაც მათ უზარმაზარ ბაჟს ადებენ. ამასობაში, ზოგიერთმა ჩვენმა თანამემამულემ გაბედა თბილისში ჩამოსვლა და ამ ქვეყანაში ნელ-ნელა ფრანგული საქონელიც შემოდის. მათ ქალების ფუფუნების საგნები იზიდავთ. ლამაზ ქართველ ქალებს არ უთქვამთ უარი თავიანთ შუა საუკუნეების დროინდელ სამოსზე, მაგრამ მათი კაბები და ფართო ლენტის, რომელიც მათი სამოსის განუყოფელი ნაწილია, ლიონის სახელოსნოებში მზადდება. ნელ-ნელა მათ სხვა საგნებიც მიიზიდავს და ფრანგული კოლონიაც გაიზრდება.

Aujourd'hui Tiflis a soixante mille habitants, des palais, des églises, et, sous la protection de la Russie, elle marche à de nouvelles destinées. Sa situation est une garantie de développement et de progrès. A côté de la vieille ville perchée sur un terrain inégal et qui offre aux yeux des aspects si pittoresques, les gouverneurs du Caucase, depuis le général Yermoloff, ont puissamment aidé à la construction d'une cité nouvelle. De vastes places, de belles rues ont été tracées, et on a déjà bâti en grand nombre d'élégantes maisons persanes, avec balcons à chaque étage et faisant le tour du bâtiment. Tous les jours la population augmente. A notre passage, un grand hôtel français venait de s'ouvrir. (323)

დღეს თბილისის 60,000 მოსახლე, სასახლეები და ეკლესიები რუსეთის მფარველობის ქვეშაა და ის ახალი ბედისკენ მიემართება. მისი მდებარეობა განვითარებისა და პროგრესის საწინდარია. უსწორმასწორო ადგილზე მდებარე ძველი ქალაქის გვერდით, რომელიც

თვალწარმტაცი სანახავია, ერმოლოვის მმართველობიდან მოყოლებული. კავკასიის გუბერნატორებმა დიდად შეუწყვეს ხელი ახალი ქალაქის მშენებლობას. უკვე მოწყობილია დიდი მოედნები და ლამაზი ქუჩები, აშენებულია უამრავი ელეგანტური სპარსული სახლი აივნებით ყოველ სართულზე და შენობის გარშემო. მოსახლეობა ყოველ დღე მატულობს. ჩვენი იქ ყოფნის დროს გაიხსნა დიდი ფრანგული სასტუმრო².

Pendant ce temps-là, nos Persans, qui s'étaient habiliés, se mirent à jouer d'un charmant instrument de forme allongée, en ébène et en acré, dont les cordes sont en cuivre et que l'on fait vibrer avec une plume. (324)

ამასობაში ჩვენმა სპარსელებმა ჩაიცვეს და აბანოზისა და სადაფის თვალწარმტაც წაგრძელებულ ინსტრუმენტზე დაიწყეს დაკვრა, რომლის სპილენძის სიმებს ფრთით აჟღერებდნენ.

L'un d'eux nous chanta des vers de Saadi, le poète célèbre de l'Orient. (324)

ერთ-ერთმა მათგანმა აღმოსავლეთის გამოჩენილი პოეტის, საადის³, ლექსები გვიმღერა.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)

² ადრეულ თბილისურ სასტუმროებს შორის ყველაზე სტაბილურად წარმატებული აღმოჩნდა 1858 წლის 6 დეკემბერს ერივანსკის მოედანზე, ოლქის შტაბის გვერდით, სუმბათაშვილების სახლში გახსნილი „კავკაზი“ („Hôtel du Caucase“), რომელიც თეატრის მოედანზე ერთ ფრანგს, გიიომს გაეხსნა. 1865 წელს სუმბათაშვილების სახლში მირზოევებმა შეიძინეს და სასტუმრო იჯარით მისცეს ფრანგ მარიუს მარტენს. ამ დროიდან სასტუმროს ოფიციალურად ეწოდებოდა l'Hôtel du Caucase, Place d'Erivan. Maison Mirsoieff, tenu par Marius Martin (დავით ხოშტარია, თბილისი. ძველი სასტუმროები. თბილისი: „არტანუჯი“, 2011, 35-37).

³ საადი შირაზელი (1203-1292) – კლასიკური სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ფიგურა.